მე-20 საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის ქართული სოციალური პოეზია და ამერიკული სოციალური პოეზიის ტრადიციები

გიორგი შონია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ლომიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი შონია.

23.06.2017.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ქართული პოეზიის წარმომადგენლების შემოქმედება მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დღევანდელობამდე და ამერიკული სოიცალური პოეზიის ტრადიციები.

კვლევის მიზანია, გამოკვეთოს ქართულ პოეზიაში მიმდინარე პროცესები ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე და ამასთან, ის გავლენები, რაც ამ უკანსაკნელმა მოახდინა ქართულ პოეზიაზე. ნაშრომში კომპარატისტული მეთოდით იქნება განხილული კონკრეტულ ავტორთა შემოქმედება, რაც მოითხოვს იმ სოციალურ-კოლტურული კონტექსტის შესწავლას, სადაც იქმნებოდა განსახილველი ტექსტები.

ნაშრომის აქტუალობა განპირობეულია სოციალურ პოეზიაზე კვლევების სიმცირითა და ბოლო წლებში ამ ჟანრის პოეზიის მიმართ საზოგადოებაში მომატებული ინტერესით.

კვლევა წარმართულია ჰაროლდ ბლუმის შემუშავებული „გავლენის შიშის“ თეორიის მიხედვით.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ქართულ და ინგლისურ აბსტრაქტს, შესავალს, ოთხ თავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

საკვანძო სიტყვები: პოეზია, სოციალური, ჰაროლდ ბლუმი, კონტექსტი.

Abstract

The works of Georgian poetry and also the traditions of American social poetry are reviewed in the Master thesis from the 90s of 20th century up to now.

The aim of research is to review the current process in Georgian poetry from the gaining of independence up to now and thereat its influence on Georgian poetry.

The works of concrete authors will be reviewed comparatively which demands to learn the social-cultural context where the texts were made.

This thesis is actual as the research on social poetry in Georgia is rare and also in recent years, the interest about this kind of poetry increased in society.

The research is conducted according Harold Bloom's theory "Fear of influence ".

It contains – the table of contents, Georgian and English abstrac-tions, introduction , four chapters, conclusion and the list of used literature.

The keywords are: Poetry, Social, Harold Bloom, Context.